

# საქართველოს



იმისთანა წმინდა საცმეში, ბოგობიც ბეჭდუბი სიფყავა, ფყილებით და ჭებობით ბუბთის გაცანა ყულა უკადრისბაჭე უსაბაგლესია.





დაარსებულია  
1918 წელს.



შაბათი, 19 მაისი, 2012 წელი.

№94 (6970)

# რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

## ილიას ღრუბრით ილიას წინააღმდეგ,




ანუ ლიბერტარიანული  
ექსპერიმენტი ③

„სამი ღვთაებრივი სა-  
უნჯე დაგვრჩა ჩვენ მა-  
მა-პაპათაგან: მამული, ენა  
და სარწმუნოება. თუ ამა-  
თაც არ გუბატრონეთ, რა  
კაცები ვიქნებით, რა პა-  
სუხს გავცემთ შთამომავ-  
ლობას?!“

ილია ჭაჭავაძე

## მარიო ჩიმაროს მზის ჩასვენება საქართველოში,

ანუ გელსიკრილის მეფე მოკვდა,  
გელსიკრილის მეფეს გაუპარჯოს!



## რუსეთი „საქართველოს რკინიგზის“ აქციებს ხელიდან არაფრით არ გაუშვებს!



⑨

## გაუკუღმართება და უზნეობა

„მამათმავლები, რაც კი  
შესაძლებლობა აქვთ, ერ-  
თმანეთს მაღალი საფეხუ-  
რებისკენ ექაჩებიან. თუ  
რომელიმე მათგანი რო-  
მელიმე დაწესებულებაში  
მოიკიდებს ფეხს, სულ მა-  
ლე იქ სხვა მისნაირებიც  
გამოჩნდებიან, დროთა  
განმავლობაში კი მთელი  
ძალაუფლება მათ ხელში  
აღმოჩნდება. ბუნებრივია,  
რომ ისინი კორუმპირე-  
ბულები და არაპატრიო-  
ტები არიან.“




⑤



ამად აღვიბარ,  
ამად მოველ  
ზალესტინაში...

⑥



პოლიტიკური  
„მოკაიფე“ ბებრები ⑪



**მარიო ჩიმბაროს ვზის  
ჩასვენება საქართველოში,**

2















## © ისევ რუსთაველის ნაპვალეზა

**ბასშილი საუკუნის სამოციანი წლების ლიტერატურულ მოვლენად იქცა ირაკლი აბაშიძის პოეტური კრებულის, „რუსთაველის ნაპვალეზაზე“ გამოცემა. ორ ნაწილად ჩაფიქრებულ წიგნს ამშვენებს იერუსალიმის ექსპედიციის შთაბეჭდილებებით შექმნილი ციკლი „პალესტინა, პალესტინა“, რომელსაც 1966 წელს რუსთაველის პრემია მიენიჭა.**

ირაკლი აბაშიძე წლების მანძილზე თავმჯდომარეობდა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიას. პოეტი რუდუნებით დასტურიალდებდა თავს დიდი წინაპრის გენიალურ თხზულებას, პოემის ავტორის ბურუსით მოცული ცხოვრება კი მასში კვლევისა და ძიების ინტერესს აღვივებდა. შემთხვევითი არ არის, რომ ირაკლი აბაშიძე იყო იმ ექსპედიციის სულისჩამდგმელი და უშუალო მონაწილე, ვინც იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კედლებზე შოთა რუსთაველის გამოსახულებას მიავკვლია და ქართველი ხალხის დიდი ხნის ნატვრა ასრულა – პოეტის ცხოვრებით და მოღვაწეობის შესახებ არსებული მწირი ინფორმაცია უნიკალური მასალით გაამდიდრა.

ქართული მწერლობის ისტორიაში ირაკლი აბაშიძე დარჩება როგორც მრჩევივალე ლირიკული ლექსების ავტორი და მშობელი ქვეყნის მოჭირნახულე. პოეტის თანდაყოლილი დიპლომატიური ალღო და მოვლენების სიღრმისეული ხედვის უნარი კრიტიკულ მომენტში ბევრჯერ წასდგომია სასიკეთოდ ჩვენ ქვეყანას. ირაკლი აბაშიძის თაოსნობითა და ხელმძღვანელობით წარმატებით შემდგარი იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიციის მუშაობა, მრავალ საქმეთა შორის, მაინც გამორჩევი ატანსიმშავია.

იმხანად იერუსალიმში გამგზავრება და ქართველთა ჯვრის მონასტერში მუშაობა ურთულეს, თითქმის დაუძლეველ ამოცანად ითვლებოდა. იყო პერიოდი, როდესაც, მიზეზთა გამო, წინაპართა ძალისხმევით დაარსებულ ტაძარში ქართველებს, არათუ მუშაობა, შესვლაც კი ეკრძალებოდათ. ამიტომ ექსპედიციის მონაწილეთა მიერ წინასწარ დასახულ ვეგზას, პრობლემების სპრე-პულოზურ ანალოგსა თუ თითოეულის ნაბიჯის ზედმიწევნით ზუსტად გააზრებას გადაწყვეტი მიმუშენებლობა ენიჭებოდა. საკითხისადმი ფრთხილი და ფაქიზი მდგომარეობა აუცილებლობას კარგად აცნობიერებდნენ აღიარებული მეცნიერები, ვინც ახლის აღმოჩენის მტკიცე რწმენით დაადგა იერუსალიმის გზას. ექსპედიციის უპრეცედენტო წარმატებას წინ ფართომასშტაბიანი მუშაობა უძღოდა.

ღვარჯლის მცენიერებს: გიორგი წერეთელს, აკაკი შანიძესა და ირაკლი აბაშიძეს ჯვრის სამონასტრო კომპლექსის საცავებში, უპირველეს ყოვლისა, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორისეული ვერსიის აღმოჩენა ჰქონდათ განზრახული. დიდი მცდელობის მიუხედავად, პოემის დედანს მათ ვერ მიაკვლიეს, თუმცა, მონასტრის თაღმჯვემ, ერთ-ერთ კედელზე რუსთაველის ფრესკული გამოსახულება აღმოაჩინეს.

მიუხედავად იმისა რომ, გამოცდილ მკვლევართა მიხედვით მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა, საზოგადოების მიერ ექსპედიციის მუშაობა სამართლიანად შეფასდა როგორც ქართული მეცნიერული აზრის გამარჯვება.

წიგნი „პალესტინის დღიური“ ირაკლი აბაშიძემ საინტერესოდ მოგვითხრო ექსპედიციის საქმიანობაზე, იმ სირთულეებზე, უმეღობისა და სიხარულის წუთებზე, ამგვარ აღმოჩენებს მუდამ რომ ახლავს.

მრავალი პუბლიკაცია, ნაშეკდი თუ კინოპროდუქცია, ექსპედიციის წარმატებით დასრულებასა და მიკვლეული მასალების მნიშვნელობაზე მოუთხოვრება საზოგადოებას. მოგვიანებით დაისტამბა ირაკლი აბაშიძის ლექსების კრებულები, რომელსაც პოეტმა „რუსთაველის ნაპვალეზაზე“ უწოდა. კრებულში მესულ ციკლში, სახელწოდებით „პალესტინა, პალესტინა“ ირაკლი აბაშიძის შემოქმედებითი ნიჭი და მასშტაბები განსხვავებული რაკურსით წარმოჩნდა. პოეტი მკითხველის წინაშე წარსდგა როგორც წმინდა მიწაზე, დიდი წინაპრის ნაკვალევზე უფლისა რწმენით გაყოლილი პილიგრიმი, რომლის თითოეული ლექსი ინიციატორ გარკვეულ საფეხურზე მყოფი მორწმუნის ლოცვად აღიქმება, პიროვნებისა, რომელიც ამქვეყნიური

ცოდვებისგან განთავისუფლებას, სულიერ განწმენდასა და ამაღლებას ესწრაფვის, რადგან სწამს, კათარზისის ის ერთადერთი გზაა, რომლითაც ბრძენი წინაპრის ნაბიჯები, საუკუნეების წიაღში ჩამარხული დიდი საიდუმლო შეიკნობა.

ირაკლი აბაშიძის ლექსების ციკლი, იმავდროულად, ეგოს შეყნობისა და სამყაროს პარმონიული წონასწორობის გათავისების, სრულყოფისაკენ სწრაფვის რწმენით არის გატყვებული.

შემთხვევითი არ არის, რომ „პალესტინა, პალესტინა“, ისევე როგორც იერუსალიმის ექსპედიციის წარმატებამ იმხანად დიდი რეზონანსი ჰქოვა. 1956 წლის გამოსვლების სისხლიანი ჩახშობის შემდგომ, როცა მძიმე სულიერი თუ ფიზიკური ტრავმები ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოშუშებული გულგატეხილ ხალხს, ჯერ კიდევ დიდი იყო ტკივილი და იმედგაცრუება, იმხანად უჩვეულოდ მასშტაბურ ეროვნულ აღტყინებას რომ მოჰ

გზნებოდა, მაგრამ ირაკლი აბაშიძის მოგზაურობას უჩვეულოდ დიდი ხიბლი აღმოაჩნდა. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის თაღმჯვემ თითქმის საქართველოს ისტორიის უზარმაზარი პერიოდი გაცოცხლდა და ხელშესახები გახდა. პოეტი მრავალ ქვეყანას ეწვია, ირდი და განვი, ფენჯაბი და ლაჰორი მოინახულა, „მამრიყის გზები კვდა და თელა“ და შოთას აწრდილს კვალდაკვალ სდია მანამ, ვიდრე მთელი არსებით არ შეივრძნო იქ, იერუსალიმში როგორ მეწყდა მერად აღკვეცილი მრძენეკაცის „მშვიდი ნაბიჯი“. პოეტი შეეცადა, დიდი წინაპრის მიერ განვლილი გზის გამეორებას, რათა უშუალოდ შეეგრძნო უკვდავი პოემისა და მისი ავტორის თვალმუდგამი სიმაღლე.

ძნელი წარმოსადგენი არ არის, რას განიცდიდა ირაკლი აბაშიძე იმ წუთებში, როცა საბოლოოდ დარწმუნდა, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორმა ცხოვრების უკანას-

აჩვენა, რომ შემოქმედებითი თავისუფლება პიროვნული ღირსების საქმეა და ნებისმიერ პიროვნებაში, ნებისმიერი წნეხის ქვეშ აღამიანი, თუკი გულწრფელი და მართალია, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავთან, დავროვილ სათქმელს გულში ვერ დაიტევს, უსათუოდ გაუჩნდება მოთხოვნილება, სათანადო ფორმა მიანიჭოს და მიმართულება მისცეს საკუთარ ნაფიქრსა და ნააზრევს.

**ინგლისური ენის სპეციალისტმა, მთარგმნელმა და პედაგოგმა ნანა ბუხრაძემ ლექსების კრებულის, „პალესტინა, პალესტინა“ სიღრმისეული პლასტები წინა პლანზე წამოსწია და ზედმიწევნით გაითავისა, ვიდრე აღნიშნული ციკლის თარგმნას მოჰკიდებდა ხელს. მრავალწლიანმა გამომცემლობამ კრებულზე მუშაობისას მას კარგი სამსახური გაუწია. ნანა ბუხრაძე დიდი ხანია საზოგადოებას აცნობს ქართული პოეტური სამყარო-**

# ამად აღვიძარ, ამად მოველ პალესტინაში...

ნანა ბუხრაძის მიერ ინგლისურად თარგმნილი ირაკლი აბაშიძის „პალესტინა, პალესტინა“-ს ბამი

ყვა, პოეტის გულწრფელად ნათქვამი სიტყვა მაღალოდ დაედო ქართველობას.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ექსპედიციის თითოეული წევრის დიდი ეროვნული თუ პროფესიული პასუხისმგებლობა, ისევე როგორც ირაკლი აბაშიძის პოეტური სტრუქტურები ხალხს უსამართლობითა და ძალბომბერობით შეგზაულებული თავმოყვარეობის აღდგენაში დაეხმარა და ღირსეული ცხოვრების იმედი ჩაუსახა.

სამოციანი წლების ქართული მწერლობა პატრიოტული სულისკვეთებით განმსჭვალული ლიტერატურის ნაკლებობას სულაც არ განიცდიდა, მაგრამ „პალესტინა, პალესტინა“ სულ სხვა მიზიდულობის ძალა აღმოაჩნდა. ირაკლი აბაშიძის ლექსების ციკლი დახვეწილი ესთეტიზმითა და მაღალი სულიერებით გამოირჩეოდა. განცდის სიმძაფრითა და აზრის გამჭვირვალობით წიგნი გამორჩეულ სიხვსა და ელვანებას მატებდა პოეტის მთელ შემოქმედებას.

უცხო მიწაზე გენიალურ წინაპართან უჩვეულო „შეხვედრამ“ შევირდი შეძრა და ოსტატთან გამასვლის სურვილი გაუღვივა. იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, შვიდასი წლის დავიკანებით „გაგონილმა ხმებმა“ პოეტი შემოქმედებითი ენერგიით აღაცხო და ახალი იდეები შთააგონა. თითოეული ლექსი, სულიერი ამაღლების გზაზე შემდგარი მორწმუნის ღვთაებრივი ნეტარების განცდით არის დაწერილი. დიდი წინაპრის „ხმებით“ ირაკლი აბაშიძე დროთა კავშირის აღდგენასა და თავისი ქვეყნის ისტორიის ერთიანი სურათის წარმოჩენას შეეცადა, რათა გენიალური პოეტის სიცოცხლის უკანასკნელი დღეები კიდევ უფრო ნათლად შეეგრძნო და ეს განცდა მკითხველისთვისაც ეწილადემინა. „პალესტინა, პალესტინა“ აშკარად პოეტური მედიაციის განცდით შეიქმნა:

– „მენ აქ ხარ, (აქ ხარ...) მონასტრის კარებს – (ათასწლის ლოცვებს), (დალადის ქარებს) ძაგდავით, უხმოდ შევახეთ ხელი...“ – მასხავს როგორი აღფრთოვანებით იმეორებდნენ ახალგაზრდები ლექსის სტრიქონებს, მეზიარდ რომ დაისწავლეს და შემთხვევას არ უშვებდნენ ხელიდან, არ დაემოწმებინათ, ანდა: „ვინ იყის, როგორ მელის ვარძი... (რა დიდ ფიქრშია), რა მწველ დარბეა; როგორ აძვერდნენ სამცხის ქედები... (ვინ იყის), როგორ მელის ვარძი! „

არაერთმა პოეტმა და მკვლევარმა მოვლო ქვეყნები „მგონისა და მღვდლის



**სადმი თავის უაღრესად ფრთხილ, სათუთ დამოკიდებულებას. მან უკვე გამოცა გალაკტიონ ტაბიძის, ანა კალანდაძის, გიორგი ლეონიძის, ტენენტი გრანელის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის ლექსების ინგლისური თარგმანები და დასავლელი მკითხველი ქართული პოეტური აზროვნების ხიბლს აზიანა.**

მთარგმნელი პროფესიული სიფრთხილით არჩევს მასალას. იგი შეგნებულად ჰკიდებს ხელს ისეთ ავტორებს, რომელთა შემოქმედებაში ქართული ხალხის ფსიქოსოციალური განწყობა, კულტურული გარემო, დახვეწილი გემოვნება და მაღალი სულიერება, ტრადიციასთან შეგნებული მხატვრული აზროვნების თავისებურება იკვეთება.

ირაკლი აბაშიძის ლექსების ციკლის, „პალესტინა, პალესტინა“ პოეტურ ქსოვილსა და მხატვრულ-ფილოსოფიურ განზოგადების მასშტაბებს მხოლოდ მაშინ აღიქვამს მკითხველი უცხოელი მკითხველი, თუკი დედნის საუკეთესო თვისებები იქნება შენარჩუნებული. ნანა ბუხრაძემ უაღრესად რთული და შრომატევადი სამუშაო გასწია და ბოლომდე მიიყვანა დიდი ხნის წინათ დაწყებული საქმე. მის მიერ შესრულებული ირაკლი აბაშიძის პოემის თარგმანებიდან კარგად ჩანს, თუ როგორ იგრძნო მან უმთავრესი მუხტი, რამაც პოეტს კრებულის შექმნის კენ უზიდა, ისევე როგორც მის მიერ გავლილი გზა, რომელიც დეტალურად გაიზარა. ფართო ეროვნული და ფანტაზია მთარგმნელს იმ ენობრივი და მხატვრული სირთულეების დაძლევაში შეეშველა, ხშირად რომ აფერხებდა უცხო ენაზე ნაწარმოების დედაარსის გახსნას. აღსანიშნავია, რომ ნანა ბუხრაძემ წარმატებით გაართვა თავი ყოველგვარ სიმძლავრეს.

თარგმნის თეორია მრავალ, დღეს კარგად აპრობირებულ მეთოდს იცნობს. ზოგ მათგანს წარმატებით იყენებენ ქართველი სპეციალისტები. არსებითი და მთავარი მაინც ავტორისეულ ჩანაფიქრთან, მის პოეტუკასთან მაქსიმალური მიახლოებაა. დახვეწილმა ლიტერატურულმა გემოვნებამ და პროფესიული ადლოდ ნანა ბუხრაძეს არა მარტო მთლიანი ტექსტის, უმცირესი დეტალების გათვალისწინებისკენაც უზიდა.

მთარგმნელი კარგად იცნობს თანამედროვე ლექსის სტრუქტურას. აბსოლუტური სმენა ეხმარება იოლად მოაწესრიგოს ტექსტის მუსიკალური მხარე და ყოველი ნიუანსის გათვალისწინებით, ქმნის ახალ ტექსტს, რომელიც მაქ-

სიმალურად ახლოს დგას დედანთან. ამიტომ ინგლისურენოვანი მკითხველი ბუნებრივად აღიქვამს, ხშირ შემთხვევაში კი ვერ გრძნობს, რომ უცხო ენაზე შექმნილ ნაწარმოებს ეცნობა. ნანა ბუხრაძის თვითმიზანს არ წარმოადგენს ინგლისურენოვან ველში პოეტური სახეების იმგვარი ანალოგების მოპოვება, ლექსის გაგებას ზედმიწევნით რომ გააადვილებს. მისთვის მთავარია ავტორისეული სტილის შენარჩუნება, რათა ნაწარმოები მკითხველისთვის რაც შეიძლება საინტერესო გახადოს.

**ირაკლი აბაშიძის ლექსების თარგმანში სრულად არის გადმოცემული ორიგინალის სისავსე და მთლიანობა, რაც ორი ენის ბუნების სრულყოფილი წარმოდგენა და მხატვრული სიტყვისადმი შემოქმედებითი მიდგომის გარეშე არა თუ რთული, შეუძლებელია.**

„პალესტინა, პალესტინა“ ორენოვანი კრებულის მკითხველს კიდევ ერთხელ მიეცა საშუალება, გაცნობოდა ნანა ბუხრაძის მრავალწინააღმდეგობრივ მთარგმნელობით მოღვაწეობას. უცხოელი მკითხველისთვის იოლი არ არის თანამედროვე პოეტის დიდ წინაპართან „შეხვედრისა“ და მისი „ხმების“ პოეტურ სტრუქტურულ ტრანსფორმირების ლიტერატურულ ფაქტთან ზიარება. თუმცა, ყველასათვის გასაგებია ის ემოცია და აღამიანური განცდა, რასაც თითოეული ჩვენგანში, განუჩრეგლად ეროვნებისა თუ კონფესიური კუთვნილებისა, მამული, ენა და სარწმუნოება აღძრავს.

მთარგმნელმა არც ლექსების ქვეტექსტები დატოვა უყურადღებოდ. თითოეულის არსის განცდითა და ფართო თვალსაწიერით მან ინგლისურ ვერსიას დედნისეული სიღრმე შეენარჩუნა.

ირაკლი აბაშიძის შემოქმედებითი სიმწიფე და განსხვავებული პოეტური ხელწერა ციკლში „პალესტინა, პალესტინა“ რელიეფურად გამოიკვეთა. კრებულის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში, „ხმა კატამონთან“ ქართველი ხალხის მშობლიური ენისადმი მოწიწება, სიყვარული და სათუთ დამოკიდებულება გამჟღავნდა. ეს ლექსი ხალხში წიგნის გამოცემისთანავე ელვის სისწრაფით გავრცელდა. მან სულიერი განახლებისა და ამაღლების მიზანი მისცა ქართველობას: „-ო, ენაე ჩემო, / დედაო ენაე, / შენ ჩემო ნიჭო, სრმოლავ და ფრენავ, / შენ, ჩვენი სუთქვის დილო ალაბო, / შენ, ჭირთა ჩვენი ეტკილო მაღამო, / შენ, კირო ჩვენი ეკათა და კირთა, / შენ ერთი შემრჩი სამარის პირთან“.

ამ ნიშანმა, ირაკლი აბაშიძის პოეტურ სტრუქტურებში ჩადებულმა ეროვნულმა მუხტმა სამოცდაათიან წლებში ერთბაშად იფეთქა და მშობლიური ენის დასაცავად ათასობით აღამიანი, დიდი თუ პატარა, ქუჩაში გაიყვანა, რათა ქვეყნისთვის სამტოთა ხელისუფლების მზაკვრული განზრახვა, უპირველესი კანონიდან, კონსტიტუციიდან სახელმწიფო ენის სტატუსის გაქრობის საფრთხე აერიდებინა.

**ნანა ბუხრაძემ მთარგმნელისა და მოქალაქის პოზიციებიდან გაიზარა და შეივრძნო ირაკლი აბაშიძის პოემის ძალა და მნიშვნელობა. მან შეისწავლა და გააანალიზა „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის ირგვლივ წლობით დაგროვილი პრობლემები. „პალესტინა, პალესტინა“ ინგლისურ ენაზე ამეტიველების აუცილებლობა მთარგმნელში კარგა ხანს მწიფდებოდა. სასიამოვნოა, რომ ნანა ბუხრაძე ამჟამადაც პოემისადმი დიდი სიყვარულითა და მოწიწებით გამსჭვალული, ნიჭიერად შესრულებული თარგმანით წარდგა მკითხველი საზოგადოების წინაშე. მან მნიშვნელოვანი ეროვნული საქმე იტვირთა, რასაც ეტაპობრივად წარმატებით აღგამს თავს.**

**მთარგმნელი ახალი შემართებითა და ერთუზიანობით განაგრძობს მუშაობას ირაკლი აბაშიძის ლექსებზე, რომლებიც „პალესტინა, პალესტინა“-თან ერთად, მის კარგა ხნის ჩანაფიქრს, ქართული პოემის გრძელ ინგლისურენოვან ანთოლოგიას უცოლობლად დაამშვენებს.**

ქათიშვან ტომარაძე

სამაროველს რისკვლია



## © „სიჭაბუკი და ლამსი ერთია“

## „რომ ჩემთან ყოფნის ფასი იცოდე...“



დაიბადა 1986 წლის 29 ივნისს თბილისში. დაამთავრა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი – ჯიბა...მე იგი ჟურნალ „ხელეულის“ მიერ გამოცხადებული რევაზ ინანიშვილის კონკურსის გამარჯვებულია დაჯილდოებაზე გავიცანი. ფოტოებს იღებდა, და პირველი პრემიის ლაურეატის ირმა გოდერძიშვილის დაია აღმოჩნდა... მერე მისი ლექსების წაკითხვის ბედნიერებაც მსგავსა წილად...

უშუალობა, გულწრფელობა, მძაფრი ემოცია...ეს არის ის, რაც დღევანდელ ახალგაზრდებში დიკარგა. ზოგი სიტყვით თამაშში გაიტაცა, ზოგი სიასლის შემოტანამ ანდა უსაგნო ფილოსოფიურობამ...მაგრამ ამ ე.წ. ხელოვნური ძიებების დროს დაკარგეს უმთავრესი – განცდა!

და როგორ გამოსარდა, რომ მირანდას ლექსებში სწორედ ეს ვიპოვე – საოცარი განცდა სიკვდილ-სიცოცხლისა! „სიკვდილი კი არა მკლავს, – მეფერება!“ – წერს მირანდა და დანარჩენი თქვენ თვითონ წაიკითხეთ, თუ რას აძიებთ პოეტი, როცა ცა წაართვეს გასაფრენი...

თამარ შამუგიაშვილი

## მირანდა გოდერძიშვილი

მე შენ მიყვარხარ, – სწორედ ამიტომ ვგრძნობ, რომ არსებობ მთების გადაღმა; სული ზეცაზე მაღლა ავიდა, – რომ დავინახოს ახლა სადა ხარ....

მე შენ მიყვარხარ – ვიცი, ეს განცდა ბოლოს ჩემამდე მაინც მოგიყვანს, მინდა ყოველგვარ საზღვარს გადავცდე, რომ „ათას ერთი ღამე“ მოგიყვე...

შენით ვსუნთქავ და შენით ვსასვებო, ცრემლს გასაშრობად მზის სხივზე ვკიდებ, მე შენ მიყვარხარ – რადგან არსებობ; რადგან არსებობ – გიპოვნი კიდევ....

ველარც ავაგებ და ვერც დაგიტევ, ახლა ჩემი თავიც მეგვერება, სიკვდილი ისე ფრთხილად მიტევს, თითქოს კი არა მკლავს, – მეფერება....

ველარ მიპოვინა ჩემი სახე, – ან ამდენ ნიღბებში რას იპოვი (?) თვალებს შეგნებულად აღარ ვახეღ, რადგან ცა წამართვეს გასაფრენი....

რადგან ცა წამართვეს გასაფრენი, მიჯობს, დედამიწა გავიცაო, მაგრამ აღარ მინდა არაფერი, მინდა ყველაფრისგან დავიცალო....

დედი, ვიცი, ახლა გძინავს – დარდიანს და სიზმრიანს, მე კი მინდა, როცა გცივა – გადავისხა სისხლიდან მზე, ღიმილი, ცისარტყელა – შენიდან რომ მაწვივ, შენ რომ მყავხარ – ისე მცხელა, ნეტავ, რა გამაცვიფს!...

მინდა ახლა შენთან ვიყო, შევეხიზნო სიზმრის ტყეს, დედი! შენი დღე დაიწყო, შენი დაბადების დღე....

შენ კი... ისე ტკბილად გძინავს, (რა გაჩუქო? – არ ვიცი), ჩამოგაზნევ ვარსკვლავთა მძივს – დაბადების დამისთვის...

ცხოვრების მატარებელი მიდის, თან თითო მგზავრი აკლდება გზებზე, სიცოცხლე არის ლამაზი მითი, სულ გადარჩენის მიზეზს რომ ეძებს...

გაჩერება უკვე მეხუთე, ვიღაც ამოდის და ვიღაც ჩადის, წარმოვიდგინე, რომ ჩამეხუტე, მაგრამ მგზავრებში შენ სულ არ ჩანდი...

მატარებელი კი ჩქარა მიდის, ითვლის წამებს და ითვლის საათებს, დღეს ენაცვლება ყოველთვის მინდი, ის რაც იწყება – უნდა დამთავრდეს!...

მეც მატარებლის მგზავრი ვარ ერთი, სულ ჩასვლა მინდა, და თან ვერც ვმედავ,

ამ მატარებლის მძღოლია ღმერთი, და რამდენ ხანში ჩამომსვამს ნეტავ (!?)....

ვიყოფთ სიცოცხლეს, სულ რომ გვყოფნის ვიყოფთ სარეცელს, დარდს თუ სინათლეს, პარადოქსია – მაგრამ გაყოფით – უფრო ვმრავლდებით, უფრო ვიმატებთ..

## მოდი, გემერო, სხეული გამიცვალე...

მოდი, გემერო! სხეული გამიცვალე, ვიცი, ჩემზე მეტად ცხოვრება შენ გზია, სული დარდისაგან დამიცვალე, სანამ სულ შევმლიღვარ....

მოდი, გთხოვ! გაჩუქებ ჩემს სხეულს, გემერო, ცოდოა საფლავის მიწა რომ აყარონ, სულს ძლიერ მოუნდა სიკვდილებს ეფეროს, შენ კი, – ჩემზე მეტად გიყვარს ეს სამყარო...

კეთილ მოხუცო! – შენ მაინც მიშველე! სხეული წაართვი სიკვდილის განაჩენს, რადგან ტკივილების ქვეშ ისე მიშენენ, რომ თვითმკვლელობითაც ძნელია გადავრჩე....

ველარ დავაღწიე ღებრესიას სული ველარაფერს მეფაფრე, შენი თვალების ეკლესია მითხარ, ასე რატომ შემეყვარე...

ვერ გაუგე ამ ცხოვრებას – კვაზიმოდორ კუზინის, აგერ რომ მის ანგელოზიც – აქილევის ქუსლი აქვს....

მეუბნებოდი, რომ მალმერთებ, გიჟდები ჩემზე, მეც დაგიტყრე, – ამ სიტყვების თქვი, ვის არ სჯერა, სიყვარულისგან უფროდ ფრენა მიწაზე შევძელ, შევძელ ზეცაში ოქროს თევზის – მთვარის დაჭერა....

დღეს დამრუნება არის გვიანი, თუმც ისევ შენი თვალეებით ვთვები, ვხედავ სიკვდილი ჩემ წინ ფრიალებს, – როგორც ქალღმერთის გაშლილი თმები....

მზე სხივთა ფუნჯით ზეცას ხატავს და... მერე ცაშივე ტოვებს სიცოცხლეს, მინდა უჩემოდ იყო ხანდახან, რომ ჩემთან ყოფნის ფასი იცოდე....

მინდა სახლი, – სახლი მინდა ცაზე ლურჯი, ოცნებები ფანჯრებზე რომ ეღებოდეს... წყალი მინდა წვეთ-წვეთობით შენი მუჭის... სხეულზე რომ კონცა-კონცად მეღვრებოდეს....

## © აპაღია

## „უტკბესი შენ ხარ, ენავ დედაო...“

შს შეხვედრა დიდი ხანია გამართავს „მოთხოვდა“, იმდენად აშკარა იყო იმისი სარგებლობა. აგერ, შედგა და გამოჩნდა კიდევაც, როგორც კიდევ ერთი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში შემდგარი საგულისყურო ღონისძიება. აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების სახელითა და ინიციატივით (განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიის წევრი გუჩა კვარაცხელია) წამყვანი მედიასამუღლებების ხელმძღვანელები და ჟურნალისტები მიიწვიეს დიპლომატიის თემაზე: ქართული ენა და თანამედროვე მასმედია.


შეკრების გახსნისას ქალბატონმა გუჩამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ეს პირველი შემთხვევაა აკადემიაში ენათმეცნიერთა და ჟურნალისტთა ასეთი შეხვედრისა. ტელეკრანზმზე და პრესაშიც, დასანანად, ქართული ენა ხშირად მახინჯდება, მაგრამ ჩვენ იმას კი არ ვაპირებთ, რომ ტუქსა და ჭკუის სწავლება დავეწყეთ ჟურნალისტებს, არამედ მათთან თანამშრომლობისკენ ვისწრაფებით. ასეთი შეხვედრები რეგულარულად უნდა მოეწყოს, რომ შეთანხმებამდე, საერთო ენის მონახვამდე მივიდეთ, ჟურნალისტები ჩვენთან კონტაქტებით დავაინტერესოთ ქართული სწორმეტყველების, მართლწერის გასაუმჯობესებლად.

სალიტერატურო ენის საყრდენი, მწერლობასთან ერთად, მასმედიის ენაც ვახლავთ და ამიტომაც გვმართებს სიფრთხილე მეჭდურნი თუ ელექტრონული მედიის წარმომადგენლებთან ურთიერთობაში.

აკადემიის წევრმა მზექალა შანიძემ ილაპარაკა თანამედროვე ქართულზე ინგლისური ენის გავლენის შესახებ, – როგორც მეჭდურნი, ისე ელექტრონულ ქართულზე. ინგლისურმა თითქოს ჩაანაცვლა სამჭოურ ხანაში რუსული ენის ათწლეულობითი გავლენა და ეს, არცთუ იშვიათად, მშობლიური ენის დამახინჯებას იწვევს როგორც თარგმანში, ისე ზეპირმეტყველებაში; ასეთ გავლენას ჯეროვანი წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ.

ქალბატონ მზექალას გამოსვლის ერთგვარ გამოძახილად წარმოჩნდა ენათმეცნიერ ლევან ღვინჯიას მოხმობილი მაგალითი: იმას, რასაც ჩვენ კომპიუტერს ვეძახით (ინგლისური სიტყვა), ფრანგებმა შეარქვეს „ორდინატორ“ – საკუთარ ენაზე მოაქმენეს შესატყვისი; და კიდევ, კომპიუტერში, მობილურის მენიუში დასახელებები რომ სულ ინგლისურად, გერმანულად წერია, რა იქნება, რომ ქართულით შეიცვალოს. ბატონმა ლევანმა ილაპარაკა ჩვენი რეკლამის ენის თაობაზე.

## © ხალოვანი



აპირებს ამ დღის აღნიშვნას და რა შემოქმედებითი გეგმები აქვს, ამ საკითხებზე „მედიაში“ ჰქონდა კამათი.

აღსანიშნავია, რომ ჭკუასელი იმ ხელოვანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც მიუხედავად პოლიტიკური სიმპათიებისა თუ ანტიპათიებისა, მედიასთან პოლიტიკაზე საუბარს ყოველთვის თავს არიდებენ.

– დაბადების დღის აღნიშვნის განწყობა და სურვილი საერთოდ არ მაქვს. უარი ვთქვი ყველანაირ საზეიმო ღონისძიებაზე, რადგან არ შემიძლია ვიზიტი, როცა რამდენიმე დღის წინათ თბილისში ჩემს გვერდით ამდენი ადამიანი დაიღუპა. წყალდიდობის შედეგად დაღუპულებს გულისხმობ. ახლა ამის დრო არ არის. თანაც სამგრძნოთში გასტროლებზე მივმგზავრები. ანსამბლი დღეს წავა, მე – ხვალ.

– შემოქმედებითი საქმიანობაში რა სიახლე გაქვთ?

– გეგმები ბევრი გვაქვს, მაგრამ პრობლემათა ბევრი ვაწყდებით. რადგან პატარა და დარბილი ქვეყნის წარმომადგენლე-

გაზეთ „ლელოს“ მთავარმა რედაქტორმა თენგიზ გაჩეჩილაძემ სპორტული ნეოლოგიზმების მავალითები მოიყვანა და ქართული სპორტული მეტყველების დახვეწის საჭიროებაზე გაამახვილა ყურადღება.

ჟურნალისტმა გურამ გოგიაშვილმა (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“) სინანული გამოთქვა, რომ აღარ მუშაობს სახელმწიფო დონეზე ენის ნორმების დამდგენი და დამცველი კომისია და აღარ გვაქვს ენის პალატა. – კარგი იქნება, თუ ხელოსნულად გამოიხატოს სახსრებს მათ აღსადგენად, დასძინა ბატონმა გურამმა.

– ტელეეკრანიდან რომ აგრე ხშირად გვესმის დამახინჯებული ქართული, ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ მიკროფონთან ყველა არ უნდა მიუშვას და ეთერშიც ყველა არ უნდა გამოუშვას, – მახვილგონიერულად შენიშნა დოქტორ მონავამ (ტელეკომპანია „მეორე არხი“).

პროფესორმა თამარ ვაშაკიძემ წარმოადგინა ენათმეცნიერების ინსტიტუტის გამოცემული ორნაწილიანი „ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი“; ამავე ინსტიტუტმა გამოუშვა „ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონი“ და ერთობ მნიშვნელოვანი ვრცელი „სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი“; ქალბატონმა თამარმა დამსწრეთ შეახსენა, რომ რადიოთი „ერთი“ ყოველკვირეულად, ოთხშაბათობით, 12 საათსა და 10 წუთზე გადის ენის სიწმინდისადმი მიძღვნილი გადაცემა.

დიპლომის ფორმით გამოთქმულ მოსაზრებებში აღინიშნა, რომ ტელეეკრანი გამოცემით უფრო ამახინჯებს ქართულს, ვიდრე პრესა – იქ ლაპარაკია და „მიფუჩეზე“ ხერხდება, პრესა კი ნამეჭდია და რჩება. პრესის ჟურნალისტები ტელევიზიის ჟურნალისტებზე უფრო კვალიფიციურად წარმოჩნდებიან.

კარგი იქნება, თუ ენათმეცნიერების ინსტიტუტში, სახელდობრ, მეტყველების კულტურის განყოფილებაში, გაიხსნება ცხელი ხაზი, რომლითაც გაჩნდება სასარგებლო რჩევების მოსმენის, კონსულტაციების მიღების საშუალება.

უმაღლეს სასწავლებლებში მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ჟურნალისტთა ახალგაზრდა კადრების მომზადებასა და არსებული კადრების გადამზადებას; და კიდევ, აკადემიისა და იმისი ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების ეს კარგი წამოწყება არ უნდა გაჩერდეს, არ უნდა გაიყინოს და უფრო სივრცულად, უფრო მასშტაბურად უნდა გაგრძელდეს.

თამაზ მანოილაძე

## ჯემალ ჭკუასელი და აბაღიას დღის აღნიშვნის განწყობა და სურვილი არ აქვს

დღეს ანსამბლ

„ერისიონის“ ხელმძღვანელს ჯემალ ჭკუასელს 77 წელი შეუსრულდა. როგორ

აპირებს ამ დღის აღნიშვნას და რა შემოქმედებითი გეგმები აქვს, ამ საკითხებზე „მედიაში“ ჰქონდა კამათი.

აღსანიშნავია, რომ ჭკუასელი იმ ხელოვანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც მიუხედავად პოლიტიკური სიმპათიებისა თუ ანტიპათიებისა, მედიასთან პოლიტიკაზე საუბარს ყოველთვის თავს არიდებენ.

– დაბადების დღის აღნიშვნის განწყობა და სურვილი საერთოდ არ მაქვს. უარი ვთქვი ყველანაირ საზეიმო ღონისძიებაზე, რადგან არ შემიძლია ვიზიტი, როცა რამდენიმე დღის წინათ თბილისში ჩემს გვერდით ამდენი ადამიანი დაიღუპა. წყალდიდობის შედეგად დაღუპულებს გულისხმობ. ახლა ამის დრო არ არის. თანაც სამგრძნოთში გასტროლებზე მივმგზავრები. ანსამბლი დღეს წავა, მე – ხვალ.

– შემოქმედებითი საქმიანობაში რა სიახლე გაქვთ?

– გეგმები ბევრი გვაქვს, მაგრამ პრობლემათა ბევრი ვაწყდებით. რადგან პატარა და დარბილი ქვეყნის წარმომადგენლე-

ბი ვართ, უცხოელი პროდიუსერები არასათანადოდ გვაფასებენ და ჩვენთვის მიუღებელ პირობებს გვთავაზობენ. გრძელვადიანი კონტრაქტების კატეგორიული წინააღმდეგი ვართ. ასეთი ერთი კონტრაქტი უკვე გვქონდა და მწარე გამოცდილება მივიღეთ. ყველამ კარგად იცის, რაც მოხდა. ჩვენი სახსრებით კი, სათანადო ღონის შოუს გავკეთებას ვერ ვახერხებთ. უცხოელ მაყურებელს კარგ ხელოვნებასთან ერთად, კარგი შოუს სჭირდება, ასეთი შოუსთვის კი, კარგი განათება, ხარისხიანი აპარატურა და უამრავი სხვა ტექნიკური დეტალია საჭირო, რაც დიდ თანხებთანაა დაკავშირებული.

– ბატონო ჯემალ, ვიცი, პოლიტიკაზე საუბარს თავს არიდებთ, მაგრამ მაინც უნდა გკითხოთ: შემოქმედებითი ინტელიგენციის ნაწილი დღეს ზიძინა ივანიშვილს უჭერს მხარს და მის გვერდით დგას, თქვენც ხომ არ ხართ მათ რიგებში?

– მე მხარს ვუჭერ ყველა კეთილ საქმეს, ზიძინა ივანიშვილს კი ბევრი კეთილი საქმე აქვს გაკეთებული. პირადად მეც, ძალიან მეხმარებოდა მთელი ამ ხნის განმავლობაში. ეს არის ჩემი შეხედულება მასზე, როგორც პიროვნებაზე. რაც შეეხება პოლიტიკას, ვის დაუჭერ მხარს და ვის – არა, ამაზე საუბარი არ მიყვარს. ჯობს, ეს თემა აღარ გავაგრძელო.



რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

უკრაინის პოლიტიკაში მრავალგზისი ცვლილებებისა და ევროპის მომავალზე პროგნოზის შემდეგ ანალიზს გაუქმებთ პოლიტიკურ სიტუაციას საპარტეზლოში. ვიღაც გადავიდეთ ასეთ ანალიზზე, საჭიროა მოკლედ განვიხილოთ რეგიონში არსებული მდგომარეობა.

2004-დან 2011 წლამდე უკრაინა და საპარტეზლო განვლილ თანატრავში, სადაც დასავლეთი და რუსეთი ცდილობდნენ კალაშნიკის შედეგად ამ „პოლიტიკურ-გადასაწყვეტელ“ შედეგს სიტუაცია და პოლიტიკური რეალობა ამ ძველადგონი. რუსეთმა მოახდინა არსებულ მდგომარეობას ორი სხვადასხვა სტრატეგიის დახმარებით, რომლებიც წარმოადგენდა განსხვავებულ კლასიკურ საგეგმარო სტრატეგიას. იმისთვის, რომ შეეძლო ნათესი ესკალაცია, კრემლს სჭირდებოდა ორი სპეციფიკური პირობა. პირველი პირობა – უკრაინის მთავრობის პოლიტიკური ნების შეცვლა, რაც მოხდა კიდეც ნათესი უფლებები პრორუსულად განწყობილი უკრაინული პოლიტიკური კლასის მოსვლით.

მეორე პირობა, რომლის დროსაც შიდაპოლიტიკური მდგომარეობა უკიდურეს შემთხვევაში, შეიძლება შეიქცეოდნენ მთავრობის მიერ ნათესი, იყო საპარტეზლოში ტერიტორიული მითითებების დარღვევა, ვინაიდან ამ შემთხვევაში შეუძლებელია განვითარება უკრაინული პოლიტიკური კლასის მიერ. ეს მეორე პირობა უზრუნველყოფილი იქნა საპარტეზლოში 2008 წლის აპრილისთვის, რის შემდეგაც რუსეთმა თავისი კალსიკური კონცეფციები მოახდინა სიტუაციაზე უკრაინაში.

მოსკოვმა გამოიყენა საპარტეზლოში შიგნით ორი პატარა სპე-

საპარტეზლოს მომავლის თავე პუტინის პირადი გაგონება

პარტისტული რეგიონის არსებობა, რომელთა თვითგამოცხადებული მთავრობები ყოველთვის პრორუსული განწყობილებით იყო (ვინაიდან სწორედ რუსეთმა მოახდინა მათი ფორმირება, შეიქმნა გადარჩევის პირობები რეალური კონფლიქტი თვითნებურად და შემდეგ მოახდინა კიდეც საგზაო მართვის დახმარებით ამ ტერიტორიების ოკუპირება (მხედველობაში ავსტრიაში და სამხრეთი ოსეთი, მიუხედავად მთელი მსოფლიოს მხრიდან პოლიტიკური დაგონებისა).

2008 წლიდან დღემდე ცოტა რამ თუ შეიცვალა რეგიონალური სტატუსი და, მიუხედავად გარეშე, ევროპული მთავრობების განცხადებით, რეალური სიტუაცია და ცალკეული სახელმწიფოების მთავრობათა მოწოდებების, რუსეთი არ ნებადებს საბარო ზომებზე და არ გაუმჯობესებს თავისი პოლიტიკური ოკუპირება ტერიტორიებიდან. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად თითქმის ყოველწლიური პოლიტიკური და კანონიერი მისწრაფებებისა დაიკვან საპარტეზლოში ინტეგრაცია, მხოლოდ ურთიერთობები რუსეთსა და საპარტეზლოს შორის განვირგობავს კიდეც პარტენალური კონფლიქტებით ორი ძველის ლიდერებს შორის, ეს იგი ვლადიმერ პუტინსა და მიხეილ სააკაშვილს შორის.

როგორც გვჩვენებს, სააკაშვილის მმართველობის შესანიშნავი დასაწყისი და მრავალი დამოკრახილი რეფორმების წარმატებული განხორციელებისა, პოზიტივმა ცვლილებებმა დაინიშნა შემთხვევაში 2009 წელს. სააკაშვილის განდგომის მიერ ვა-

დის (უკანასკნელი გასვლის დახლოებასთან ერთად მნიშვნელოვნად გაზარდა ძველადგონი საშინაო პოლიტიკის ხარისხი).

უკანასკნელი ტენდენცია არის ის, რომ სააკაშვილი ცდილობს, არ დაკარგოს კონსენსი და თავიდან აიცილოს პოლიტიკურ სტანდარტული პოლიტიკური კანდიდატის გამოჩენა, იმედად ლოზუნგს: „ეჭვით შეიძლება კოლაპსიონალური ლიგა“. იმ დროს, როდესაც ქართულ პოლიტიკაში რუსეთის ჩარევის რისკი საგზაოში რეალურია, ცხადია, რომ ყველა ოპოზიციური პოლიტიკოსი როდია გზად, შეიძლება ძველის დამოუკიდებლობას. ახას გარდა, საპარტეზლოში პრორუსულად განწყობილი პოლიტიკური კლასი საკმაოდ კარგად არის ცნობილი და დანარჩენი ოპოზიციის დადგენილება კოლაპსიონალური კანდიდატის – სააკაშვილის მიერ.

კარგად, უკანასკნელი თვეების განმავლობაში მიმდინარე მითითებები პრორუსულ ურთიერთობაზე კიდევ უფრო ამყარებდა ოპოზიციურ პარტიებს, რომლებიც აცხადებდნენ, რომ მათ უფრო ვლად სდებდა გზას. სააკაშვილის რიტორიკაც უფრო ანტირუსული ჩანს, ვიდრე იგი იყო ამ რამდენიმე წლის წინათ.

საკაშვილის „ავტორიტარული“ მმართველობა, რომელიც ცდილობს, კონტროლავდნენ იმდროს და ზემოქმედება მოახდინოს ძველის ცხოვრების ნაბიჯებზე უკანად, ევროპული პოლიტიკური ანალიტიკოსების გვირგვინს.

